თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს

ო თ ა რ გ რ ი გ ო ლ ი ა ს ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი.
- და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის თავმჯდომარე

მე-7 მოწვევის საკრებულოში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **19** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **43** საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და გეგმაზომიერად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. დედაქალაქის ბიუჯეტი 2023 წელთან შედარებით გაიზარდა და 2 058 335,6 ლარია. ცხადია, წელსაც პრიორიტეტულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვა და სოციალური პროექტები, ინფრასტრუქტურული და გარემოს დაცვითი ღონისძიებები

ინფრასტრუქტურა

- როდესაც ინფრასტრუქტურლ პროექტებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გამოვყოთ:
    - ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა-ხიდი 260 მეტრი სიგრძისაა და ოთხი სამოძრაო ზოლისგან შედგება, ხოლო მანძილი წყნეთის გზატკეცილიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე 532 მეტრია. პროექტის ფარგლებში მოეწყო ტროტუარები, გარე განათების ქსელი და LED სანათები, დამონტაჟდა მოაჯირები, ხიდის სავალ ნაწილზე ჩატარდა საიზოლაციო სამუშაოები, მოეწყო სანიაღვრე სისტემა და დაიგო ასფალტის რამდენიმე ფენიანი საფარი. მოეწყო ხიდთან მისასვლელი გზები და სატრანსპორტო კვანძები, როგორც უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან, ასევე ბაგების დასახლების მხარეს, თბილისი - წყნეთის საავტომობილო გზასთან. ხიდის სამშენებლო სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა. პროექტის ღირებულება ჯამში 36 400 000 ლარს შეადგენს.
    - აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია-წერეთლის გამზირზე ჩატარებული რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები მოიცავდა მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლებას, საჰაერო სადენების მიწისქვეშ განთავსებას, ტროტუარების, უსაფრთხოების კუნძულების, გარე განათების ქსელისა და ალფალტის საფარის მოწყობას, ლედ ლამპიონების მონტაჟს, მოსაცდელების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოლების მოწყობას, მიწისქვეშა ურნების განთავსებას.
    - მიხეილ თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო ორი ამსვლელ-ჩამომსვლელი პანდუსი, დამონტაჟდა გარე განათების ქსელი LED ლამპიონებით. ფეხით მოსიარულეებისთვის მოეწყო ტროტუარები და დაიგო ასფალტის რამდენიმეფენიანი საფარი, სავალი ნაწილი დაიხაზა და დამონტაჟდა შუქნიშნები. პროექტი დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1.7 მილიონი ლარით დაფინანსდა.
    - სამუშაოები წყნეთის გზატკეცილზე-სამუშაოები ბაგების დასახლების ახალ საავტომობილო ხიდამდე შესრულდა, დამონტაჟდა გარე განათების ქსელი ლედ სანათებით, მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები, სავალი

ნაწილი დაიხაზა და განთავსა საგზაო ნიშნები, განახლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები.

- დაიწყო უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი გვირაბისა და ხიდის მშენებლობა, რაც სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტია და ბაგებიდან წამოსულ ავტომობილს ახალი ხიდის გავლით საშუალებას მისცემს პირდაპირ მოხვდეს ქავთარაძის ქუჩაზე. აღნიშნული პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 12 მილიონი ლარია.

ტრანსპორტი

მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სატრანსპორტო პოლიტიკაა. აღსანიშნავია, რომ სრულიად განახლდა ავტობუსების პარკი, ძველი მიკროავტობუსები ახალი, თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი მიკროავტობუსების შეიცვალა. დაიხაზა ბასლეინები, ველობილიკები. მიმდინარეობს მეტროსადგურების სრული რეაბილიტაცია, მატარებლის ვაგონების განახლება, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება. წარმატებით განხორციელდა ტაქსების რეფორმა. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ერთი მთავარი მიზნისკენ - საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს მაქსიმალურად პოპულარული.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისთვის გამოყოფილია **66.904.7** ლარი

ტრანსპორტის განვითარებისთვის - **485, 969.7** ლარი
საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისთვის **9,691.4** ლარი

- სრულად განახლდა ავტობუსების პარკი-სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზეა 950 თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი(ხაზებზე მოძრაობის დაახლოებით 722 ერთეული)
- სატრანპოსრტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 75 ერთული-18 მეტრიანი MAN „Lion’s City” 18C მარკის ავტობუსი.
- განხორციელდა 2 ერთული 81-717 M სერიის მეტროს სათაო ვაგონის და 2 ერთ 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით.

- დასრულდა რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სრული განახლება და მშენებლობა. მზავრებს 21 ერთეული 8-კაციანი გონდოლა მოემსახურება. პროექტის ჯამური ღირებულება 50 მილიონი ლარია.
- თბილისს დაემატა პარკირების 1623 ახალი ადგილი, მათ შორის 66 შშმ პირთა პარკირებისთვის გამოყოფილი.
- დაემატა 84 ველო პარკირების ახალი ადგილი.

ჯანდაცვა

- მკვეთრად **გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების** დაფინანსების ხვედრითი წილი და შეადგენს **154 920 100 ლარს.** პრიორიტეტები ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 32 783 000 ლარი. გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 122 237 100 ლარი, რაც მოიცავს კომუნალურ სუბსიდირებას, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ დახმარებას, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისთვის მედიკამენტებით უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ახალშობილზე ერთჯერად დახმარებას, შინმოვლის თანადაფინანსებას, უფასო სწავლებას მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და ა.შ.

❖ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია

შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

www.sakrebulo.gov.ge.

- ## ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია - კომისიის წევრი

კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, ჩატარებულ იქნა 19 სხდომა და რიგი შეხვედრები. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 379 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 372 ცვლილება (დადებითი 363, გადაიდო 9).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 215 (214დადებითი, 1 გადადებული (დაუბრუნდა მერიას ხელახალი ინიცირებისთვის)).

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 56 პროექტი.

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 15 პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 10 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 83 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

- **სარევიზიო კომისია -**

  კომისიის წევრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისია აკონტროლებს შემოსავლების ამოღების დროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 15 სხდომა. განვიხილეთ და რეკომენდაციები შევიმუშავეთ 31 საკითხზე, მათ შორის:

17.11.2023

განვიხილეთ „თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი. ვიმსჯელეთ „თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

14.12.2023

დადებითი რეკომენდაცია გავეცით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტს.

28.12.2023

შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვას ეხებოდა.

23.01.2024

ვიმსჯელეთ თბილისის მერიის ადმინისტრაციის მიერ 2018 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალებზე. საკითხის განხილვას მერიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამავე სხდომაზე, კომისიის წევრებმა, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა დაამტკიცეს და ამავე კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.07.2023-31.12.2023წწ) მუშაობის ანგარიში განვიხილეთ.

20.02.2024

ვიმსჯელეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ხვედელიძის არჩევის შესახებ. განვიხილეთ ასევე 2024 წლის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი და შპს ,,თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები.

სარევიზიო კომისიის ამავე სხდომაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებული შპს „თბილსერვის ჯგუფის" 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2023 წლის შიდა აუდიტის წლიური ანგარიშები მივიღეთ ცნობად.

22.03.2024

ვიმსჯელეთ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალებზე. წარვადგინეთ შემუშავებული რეკომენდაციები.

29.03.2024

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებში შედიოდა თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა. კომისიის სხდომაზე საკითხი თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა.

23.04.2024

კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2023 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიშის მოსმენა გაიმართა. კომისიის წევრებს, თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სარევიზიო კომისიის ანალიზი, დედაქალაქის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ლევან მიქავამ წარმოგვიდგინა.

24.05.2024

კომისიის წევრებმა, სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები განვიხილეთ და წარვადგინეთ შემუშავებული რეკომენდაციები.

14.06.2024

განვიხილეთ ცვლილებები დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტში. საკითხი საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარადგინა. თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 490,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 009 879,6 ათას ლარს. კომისიის სხდომაზე, ასევე ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები განვიხილეთ, ვიმსჯელეთ ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალებზე. წარვადგინეთ შემუშავებული რეკომენდაციები.

12.07.2024

ვიმსჯელეთ „თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, განვიხილეთ თბილისის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „ჰერმესის“ მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის და ააიპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები.

16.08.2024

კომისიის წევრებმა "თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ" ინფორმაცია მოვისმინეთ. საკითხი კომისიის წევრებს მერიის საქალაქო საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ გაგვაცნო. ვიმსჯელეთ ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის და ააიპ „ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"-ს მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალებზე. განვიხილეთ ასევე თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის 6 თვის (01.01.2024-01.07.2024წწ) მუშაობის ანგარიშიც.

13.09.2024

განვიხილეთ შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები. განხილვას შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიი"-ს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წარვადგინეთ შემუშავებული რეკომენდაციები.

04.10.2024

განვიხილეთ ააიპ „მუნიციპალური განვითარების სააგენტო"-ს მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები.

1.

❖ აქტივობები

22.11.2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მოადგილესთან, ლევან აბაშიძესთან ერთად ვუმასპინძლე სტუდენტური პარლამენტის ახალგაზრდა წევრებს თბილისის საკრებულოში. მათ ინფორმაცია მივაწოდეთ საკრებულოს და მერიის საქმიანობის, სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ. შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

27.11.2023

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარესთან, ლევან ჟორჟოლიანთან ერთად ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის გენერალურ მდივანს, მეთიუ მორის და კონგრესის წარმომადგენლებს შევხვდი.

შეხვედრა ევროსაბჭოს კონგრესის პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრაზე საქართველოსა და ევროსაბჭოს კონგრესს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ ვისაუბრეთ.

27. 03. 2024

მონაწილეობა მივიღე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 46-ე პლენარული სესიაში, ქ. სტრასბურგში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან, მის მოადგილე ზურაბ აბაშიძესთან, საკრებულოს წევრ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ ნინო რუხაძესა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან არჩილ გორდულაძესთან ერთად.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 46-ე პლენარულ სესიაზე, რომელიც კონგრესის პრეზიდენტმა მარკ ქულსიმ და ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა გახსნეს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული ომის თაობაზე გაიმართა დებატები. აგრეთვე კენჭი ეყარა დეკლარაციის პროექტს უკრაინელი ბავშვების უფლებების დაცვის შესახებ. დებატები გაიმართა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები, როგორც კანონის უზენაესობის მოქმედი პირები და გარანტორები; გარემოსდაცვითი საკითხები; ადგილობრივი და რეგიონული პასუხები ბუნებრივ კატასტროფებსა და კლიმატურ რისკებზე; გაეროს მომავლის სამიტი; ჩარჩო კონვენციის პროექტი ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე და სხვა.

16-21. 04. 2024

სან-ხოსე, კოსტა-რიკა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილესთან, ავთანდილ ცინცაძესთან ერთად დავესწარი UCLG-ის გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობების აღმასრულებელი ბიუროს სხდომასა და თემატურ სესიას. კონფერენციის ფარგლებში განვიხილეთ სამოქალაქო საზოგადების გაძლიერებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის, მოქალაქეთა და თემების გაძლიერების გზაზე მდგრადი განვითარების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების როლის საკითხები. თბილისის მუნიციპალიტეტის მაგალითზე უცხოელ კოლეგებს დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ ადგილობრივი თვითთმართველობის განხორციელების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ფორმებსა და საშუალებებზე, მუნიციპალურ სერვისებზე, გატარებულ რეფორმებზე, ერთმანეთს გავუზიარეთ მუნიციპალური პროექტების განხორციელებისას დაგროვილი გამოცდილება.

06.06.2024

თბილისში გამართულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმზე სახელწოდებით „ჯანსაღი ქალაქი-მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება“ ჩემი გამოსვლა დავუთმე ქალაქის ჯანსაღი განვითარების მიმართულებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლზე საუბარს და ფორუმის მონაწილეებს ის ძირითადი პროექტები გავაცანი, რომელსაც ამ მიმართულებით თბილისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს.

08-10.10.2024

დავესწარი ჰააგაში გამართულ UCLG-ის მსოფლიო საბჭოს სხდომას ჰააგის მუნიციპალიტეტისა და ჰოლანდიის მუნიციპალიტეტების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ეძღვნებოდა ადგილობრივი დემოკრატიის როლს როგორც მშვიდობიანი და წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ისე კონფლიქტების პრევენციასა და აღკვეთაში. ყურადღება გავამახვილეთ მუნიციპალური სტრატეგიების მიერ მშვიდობის ხელშეწყობაზე, თანამშრომლობის გაძლიერებაზე. აღნიშნულ თემებზე მოლაპარაკებები ვაწარმოეთ სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივ და რეგიონულ წარმომადგენელთან, პოლიტიკური საბჭოების წევრებთან.

15-17.10.2024

საანგარიშო წელი სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 47-ე სესიაში მონაწილებით დავასრულე გიორგი ტყემალაძესა და ზურაბ აბაშიძესთან ერთად. სესიაზე ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციების დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნად გაიმართა დებატები თემაზე: ადგილობრივი დემოკრატია, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის და სტაბილურობის საყრდენი. ვისმჯელეთ ასევე ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობაზე. შეხვედრა გავმართეთ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ალენ ბერსესთან და ვისაუბრეთ საქართველოში დაგეგმილ არჩევნებზე, მის მშვიდ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე, თავად დებატებში ჩემი გამოსვლა კი საქართველოს ევროსტრუქტურებისადმი ერთგულების ხაზგასმით დავასრულე.

ანგარიში 2024